№ 67. 29 მარტი, ორშაბათი. 1866—1881 29 მარტი, ორშაბათი. № 67.

რედაქცია

გალავნის პროსპექტზე თ. ივ. შუხრანსკის სახლებში კლუბის ქვეშა.

ხელის-მოწერა

მიიღება თფილისში „დროება“-„იგვერიის“ რედაქციაში, ქუთაისში „დროება-იგვერიის“ აგენტთან ი. ჯეონიასთან ხიდზე. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“-„Иверіи“.

„დროება“-„იგვერიის“ ფასი

წელიწადში. 6 თვეს. 3 თვეს

ფასი: „დროება“ და „იგვერია“ ერთად 14 მან. . . 8 მ. . 5 მ.
„დროება“ . . . . . 9 მან. . . 5 მ. . 3 მ.
„იგვერია“. . . . . 7 მან. . . 4 მ. . 2 მ.

დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათის გარდა

ფასი განცხადებისა

დიდი ასოებით ასოზე 1-ჯერ 5 კაპ. ხუთულებრივი ასო მოკვრულით ასოზე ნახევარი კაპ. ტალახებრივ ასოზე შეოთხედი კაპ.

თუ ხაჭირდება მოითხოვს, რედაქცია გასწორებას და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია უფასოთ კერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვ ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება „დროება“-„იგვერიის“ აგენტთან.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ.

პირველის მარტიდამ წლის დამლევამდინ

დროება

ღირს რვა მანეთი

ხელის-მოწერა მიიღება, თფილისში: რედაქციაში (გალავნის პროსპექტზე, თ. ივ. შუხრანსკის სახლებში, კლუბის ქვეშ), ქუთაისში — აგენტთან ბ. იდია ჯეონიასთან (სიდზე, მირიან ჯეონიას სახლში). ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: **Тифлисъ. Редакція „Дроэба“.**

თბილისი 1881 წელი

არწრუნის თეატრში

29 მარტს, 2 და 5 აპრილს

აკ. წერეთელი

წაიკითხავს სამს საზოგადო ლექციას

ვეფხის ტყაოსნის

შესახებ

პროგრამმა

I

შესავალი.

ა) საქართველოს მოუხსენებლობა საქვეყნო ისტორიაში.

ბ) საქართველოს ბედის შედარება პრომეთეოსის ბედთან.

გ) ქართველთა ენა — იმისი სიმდიდრე და ქართულში შემოსული უცხო ენების სიტყვები.

დ) ჩვენი უმეცრება საქართველოს ტომთა შესახებ.

II

ხასიათები საქართველოს ხალხისა.

ა) ქართლელი.
ბ) იმერელი.
გ) ზურული.
დ) მეგრელი და
ე) მთიული.

ბილეთები ისყიდება არწრუნის თეატრის კასასაში.

დასაწყისი ცხრის ნახევარზედ

ტელეგრამები

პეტერბურღი, 27 მარტს. „მმართებლობის მოამბეში“ დაბეჭდილია ბრალდებითი ოქმი ექვსის პირისა, რომელთაც ხელმწიფის მოკვლა ბრალდებათ. საქმე გუშინ დაიწყო ბრალდებულთ სკამზე სხედან: რისაკოვი, მიხაილოვი, გელფმან (ქალი), კობალჩიჩ, შეროვსკაია (ქალი) და ჟელაბოვი.

პეტერბურღი, 27 მარტს. (ოფიციალური). გრაფი იგნატიევი სახელმწიფო ქონებათა მინისტრად დაინიშნა.

დღეს გამოცხადებულია თფილისის საქალაქო ბანკის წესდება.

ქრისტიანოზის აღმადგინებელ საზოგადოების სკოლებზე.

ტფილისი, 28 მარტს.

თუმცა ამ უკანასკნელ ზემოხსენებულ საზოგადოების სკოლებზედ ხშირათ დაიწყეს წერა, მაგრამ თითქმის არავის აუწერია ისინი ისე დაწერილებით, რომ მკითხველ საზოგადოებას შეეძლოს მათი ნანდვილათ დაფასება. ოფიციალური ანგარიშები, რომლებიც ყოველ წლივ სდგებიან ამ სკოლების ინსპექტორებისაგან, ვერ წარმოიდგენენ ნამდვილ სურათს სკოლების მდგომარეობისას; კორრესპონდენციები, რომლებიც გვიძღვნეს ხერთვისის და ტოლოშის მასწავლებლებმა, ბ. ხმალაძემ და ბ. ზეგიძემ, არას გვიმტკიცებენ გარდა უმნიშვნელო ტრაბახისა. ამიტომაც მე ეხლა მსურს ორიოდე სიტყვა მოგახსენოთ ზემოხსენებულ სკოლებზედ და გიჩვენოთ, რა მდგომარეობაში იმყოფებიან ესენი.

რა მიზანიც აქვს ზემოხსენებულ **საზოგადოებას**, ეს სჩანს სახელ-წოდებიდან, ე. ი. აღადგინოს ქრისტიანობა განათლების შეწყობით. „**საზოგადოების**“ წარმატება მაშასადამე დამოკიდებულია ხალხის განათლებაზედ: თუ „**საზოგადოების**“ მოქმედებამ მოჰფინა ხალხში განათლების სხივები, მაშინ შეიძლება ვიქონიოთ იმედი, რომ ქრისტიანობის აღდგინებაც ნაყოფიერ საფუძველზედ სდგას; და წინააღმდეგ, თუ „**საზოგადოების**“ მოქმედება ვერ შეატანს იმ სიბნელეს, რომლითაც გარემოცულია ხალხი, მაშინ შეგვეძლება ვსთქვათ, რომ იმას ვერ მოაქვს ჯეროვანი სარგებლობა, რომ იგი ვერ ახწევს აღნიშნულ მიზანს, რომ იმის მეცადინეობა რჩება უნაყოფოთ და უბრალოთ ალევს ამ საქმეს თავის ნევთიერ და ზნეობით ძალას.

მხოლოოდ ერთი წყარო ხალხის განათლებისა — არის სკოლა. მრავალ მიზეზების რიცხვების შორის, რომლებიც აბრკოლებენ ქრისტ. აღმ. **საზოგადოების** სკოლების წარმატებას, მე მოვიყვან მხოლო უმთავრესთ.

პირველი — ეს განთვისებული მიმართულება. ყოველ მოქმედებას სკოლაში აწევს მძიმე უღელი ფორმის დამცველობისა — მიმართული განსაკუთრებით ერთი რომელიმე პირის დაკმაყოფილებისათვის. **თუ** რაიმე სწარმოობს სკოლებში, ეგ უნდა მივაწეროთ სასტიკ ფირმანებს და არა იმ ქეშმარიტ საქმის სიყვარულს, რომელიც უნდა წინ მიუძღოდეს სკოლის ყოველ მოქმედებას.

მეორე, მაგრამ **უმთავრესი** დამაბრკოლებელი მიზეზი ამ სკოლების სისუსტისა მდგომარეობს მოწაფეების დედა-ენის სრულ შეურაცყოფაში. ამ საგანზედ საკმაოთ სწერეს, საკმაოთ ილაპარაკეს; იმიტომაც ეხლა მე მიძნელდება ახალი რამის თქმა. ეს იმისთანა საქმე არის, რომ სამართალი იყვეს სადმე, ამაზედ ლაპარაკიც არ უნდა ჩნდებოდეს; მაგრამ ჩვენი უბედურებაც ის არის, რომ როგორც ერთ შჩედრინის სატირაში სინიდისი დაიკარგა, ისე ჩვენში სამართალი. მეტი უბედურება კიდევ იქნება, რომ იძულებული იყო მეცნიერებით აღჭურვილ კაცს უმტკიცებდე, რომ წერა-კითხვის სწავლა ანბანიდამ უნდა იწყობოდეს; რომ სახლის აშენება საძირკვლიდან უნდა დაიწყოს და არა ბანიდან, რომ სახლი ხოლო მაშინ არის მკვიდრი, როდესაც მკვიდრ საფუძველზედ დგას! ერთი სიტყვით უმტკიცებდე ამ „პატიოსან“ „განათლებულ“ გვამს მას, რასაც სხვა დროს და სხვა ალაგას თითონვე ჰქადაგებდეს?!

ბ.ბ. ხმალაძე და ზეგიძე ამტკიცებენ თავიანთ კორრესპონდენციებში, რომ ჩვენ ქართულათაც ვასწავლითო და რუსულათაცაო, როგორც გვაქვს ნაბრძანები უფროსისაგანაო; ნამდვილათ კი აი საქმე რაში მდგომარეობს.

მართალია, ბ. ინსპექტორის მიწერილობიდამ კი სჩანს, რომ მასწავლებლებმა უნდა ქართულათაც ასწავლონ და რუსულათაც, მაგრამ ჩვენმა მასწავლებლებმა კარგათ იციან, რომ ქართულ ენაში თავიანთი მოწაფეები თუნდა თვალოსოფოსები დასხდნენ, ეგ უფროსისაგან არ დაფასდება იმიტომ, რომ უფროსმა არ იცის ეს ენა, არც შეუძლიან და არც უნდა ამის დაფასება.

აქ მასწავლებლის აზრში უნდა მოხდეს პატარა ბრძოლა: ან უნდა ულალატოს ქეშმარიტების, ნამდვილ სარგებლობის და ვალდებულების ცნებას, მაგრამ თავისი უფროსი კი ასიამოვნოს; ან უნდა ემსახურებოდეს საქმეს და არა პიროვნებას, იდგეს ქეშმარიტების გზაზედ, მაგრამ მოიკლოს უფროსის პატივცემა, აღტაცებული ქება და დიდება ანგარიშებში. **უნდა** გამოეტყდე და ვსთქვა, რომ ამ **საზოგადოების** სკოლების მასწავლებლებს ყოველთვის ახსოდათ პირველი აზრი და სცხოვრობდნენ აუღშფოთებლივ.

მასწავლებლებს შეუძლიანთ დედა-ენის დახმარება, თუ კი ისურვებენ, თუ კი დიდ მნიშვნელობას არ მისცემენ ოქროს მედლებს...

მესამე მიზეზათ სკოლების სისუსტისა უნდა ჩაითვალოს ის სამწუხარო ფაკტი, რომ მოწაფეები ყოველ დღე არ დაიარებიან გაკვეთილებზედ. ჩვენი ღარიბი გლეხი ვერ ახერხებს, რომ ყოველ დღე მოიშოროს თავისი შვილი, რომელიც სახლში ეხმარება, ოჯახობაში ხელს უმართავს. ეს მოვლენა არის საერთო სენი მთელი **რუსეთის** სახალხო **სკოლებისა**; **მაგრამ** ვგონებ ეს სენი არსად მძვინვარებდეს ისე, როგორც აქ, ჩვენში.

ეს მოვლენა **უნდა** მივაწეროთ ჩვენი **სკოლების** განსაკუთრებულ **მდგომარეობას**. მართლაც, **რომელი** ხალხის **სკოლების** ხვედრს **შეედრება** ხვედრი ჩვენი **სკოლებისა**? **რომელი** ხალხის **სკოლებს** ახვევია გარს **ისეთი** ხალხი **განსხვავებული** **სარწმუნოებით**, **განათლებით**, **ზნეობითი** **კანონ-მდებლობით**, **ნიეთიერ** **მდგომარეობით**, **ისტორიულის** **ბედით**? **საიდანაც** **უნდა** **წარმოსდგებოდეს** **ეს** **მოვლენა**, **ყოველითვის** **ერთგვარათ** **აბრკოლებს** **სკოლის** **წინ-მსვლელობას**. **ამ** **გარემოების** **გავლენა** **კიდევ** **მოსათმენი** **იყო** **უწინდელ** **სკოლებში**, **სადაც** **ყველა** **მოწაფეს** **განსაკუთრებით** **ასწავლიდნენ**; **მაგრამ** **ეხლა**, **როდესაც** **მთელი** **კლასი** **განიყოფება** **რამდენიმე** **განყოფილებათ** **და** **ყოველ** **განყოფილებაში** **ერთსა** **და** **იმავე** **დროს** **ყველა** **მოწაფეებს** **ასწავლიან** **ერთსა** **და** **იმავე** **საგანს**, **ეხლა** **ეს** **სენი** **მოსათმენი** **არ** **არის**, **რადგანაც** **ის** **არღვევს** **კლასის** **დისციპლინას** **და** **აძნელებს** **სწავლას**.

მეოთხე **მიზეზათ** **საზოგადოების** **სკოლების** **სისუსტისა** **ჩაითვლება** **ადგილობრივ** **მთავრობის** **უყურადღებლობა**. **იმედი** **მაქვს**, **არავინ** **დამბრალებს**, **ეითომ** **მე** **ვქადაგებდე**, **რომ** **სკოლების** **საქმეს** **განაგებდნენ** **პოლიციის** **ურიადნიკები**; **ღმერთმა** **დაგვიფაროს**; **მე** **მხოლოდ** **ის** **მინდა** **ვთქვა**, **რომ** **იქ**, **სადაც** **და** **როდესაც** **მასწავლებლის** **კანონიერი** **და** **კეთილი** **სურვილი** **არ** **იქნება** **ასრულებული** **სოფლისაგან** **და** **როდესაც** **მასწავლებლის** **ვედრება** **დარჩება** „**ხმათ** **მღაღადებლისა** **უდაბნოსა** **შინა**“, **მაშინ** **ადგილობრივი** **მთავრობა** **ზნეობით** **ვალდებულია** **მიაწოდოს** **მშველელი** **ხელი** **მასწავლებელს** **და** **გაუწმინდოს** **გზა** **ყოველ** **იმის** **კეთილ** **განზრახვის** **აღსრულებას**. **მინც** **იცის** **რა** **დამოკიდებულება** **არსებობს** **მასწავლებლისა** **და** **ხალხის** **შორის**, **ის** **ადვილად** **დაერწმუნება** **ზემოთქმულ** **აზრს**.

მეხუთე მიზეზი, რომელიც აგრეთვე აბრკოლებს სკოლების წინ მსვლელობას არის მღვდლისა და მასწავლებლის შორის უთანხმოება. რასაკვირველია, ეს უთანხმოება არაფრით წაგავს სხვა ქვეყნების კლერიკალების და სამოქალაქო ხალხის პარტიების ბრძოლას. ჩვენში ეს ბრძოლა დგას სხვა გვარ ნიადაგზედ. როგორც მთელი ჩვენი ცხოვრება შესდგება წვრილმან მოვლინებიდგან, როგორც ჩვენი გონება არა ფრინავს უმაღლეს აზრების წრეში, როგორც ჩვენი ხსენებითი იდეალი არ განმორებია ჩვენ საკუთარ პიროვნებას, როგორც ჩვენი „მე“ შეადგენს ჩვენს კერპს, რომლის ტაძარზედ მსხვერპლათ ვწირავთ საზოგადოების საჭიროებას, — ისე ყველა ამის-და-გვარად, ჩვენში ყველა ბრძოლა არის წვრილმანი, პიროვნებითი.

დასასრულ ორიოდე სიტყვა თითონ მასწავლებლების შესახებ.

ის წრე, რომელშიაც ახლანდელი ჩვენი მასწავლებელი ტრიალებს, გარემოცულია გაუნათლებლობის ნისლით. ამ მასწავლებლის ასპარეზი მიემგზავსება უმთვარო ბნელ ღამეს, როდესაც ღრუბლით მობურულ ცაზედ მოჩანს მკრთალი სინათლე მბჟუტავი ვარსკვლავისა. ეს ვარსკვლავი არის მხოლოთ ერთი წყარო სინათლისა და ამ ვარსკვლავსაც იხვევიან იმდენი ღრუბლები, რომ მზათ არიან სრულიად შთანთქან იგი. განა ამ ვარსკვლავს შეუძლიან განათება ყველასი, ვინც კი დედა-მიწიდამ შესცქერის, როდესაც თითონაც არა აქვს საკმაოთ სინათლე, რომელსაც ილებს სხვა მინეთობელი სხეულისაგან? ამ ვარსკვლავს თავის-თავათ არ შეუძლიან სინათლის მომატება: ეს დამოკიდებულია ბუნების საერთო წყობილების კანონებზედ. სანამ ეს კანონი არსებობს იმ სახით, როგორც ვხედავთ ამ ჟამათ, მინამ ვარსკვლავიც იქნება ისე მკრთალი სინათლით შემოსილი...

სოფლის მასწავლებელს კი შეუძლიან ბუნებითვე შეირჩინოს ის გონებითი და ზნეობითი სინათლე, რომელიც მას აქვს გარედან მიღებული; უფრო მეტი: მას შეუძლისნ გაავრცელოს ეს სინათლე, შეუძლიან ეწინააღმდეგოს ყოველ მავნე მოვლენას თუ... თუ კი ისწავლის. მაგრამ, საუბედუროთ, ჩვენი სოფლის მასწავლებლები, რასაკვირველია ყველანი არა, გამოვლენ თუ არა სასწავლებლიდამ, თავს ანებებენ ყოველ გვარ სწავლას და ეცემიან გონებით და ზნეობით. იმათ თითქო სჯამს ის წრე, რომელშიაც ტრიალობენ. იმათ გონებას უნებურათ ედება ის ზნეობითი მტვერი, რომელიც იმათ გარს ახვევია. ბადის ხუთი, ათი წელიწადი და განმანათლებელს ვერ გაარჩევ იმ ხალხში, რომლის გასანათლებლათ არის ეს მოსული. რა ზნეობითი ძალა უნდა იქონიონ ხალხზე ამისთანა მასწავლებლებმა?

რ. ჯაჯანაშვილი.

ახალი ამბები.

—

დღეს, ალწრუნის თეატრის ‘ზალაში, მეცხრე საათის ნახევარზე დანიშნულია პირველი ლექცია „ვეფხვის ტყაოსნის ტიპების შესახებ“ აკაკი წერეთლისა.

რაღა თქმა უნდა, რომ ძლიერ საინტერესო იქნება ამ ჩვენის თანამედროვე ერთ საუკეთესო პოეტ-ოაგანის აზრისა და შეხედულობის შეტყობა დიდებულის რუსთველის პოეზიისა და იმის გმირთა ხასიათების თაობაზედ.

* * *

ჩვენ მივიღეთ პეტერბურღიდამ შემდეგი შენიშნვა:

„იმერეთის დეპუტაციამ პეტერბურღში, თ. ნ. წერეთლის წინამძღომლობით, სთხოვა გრაფ ლორის-მელიქოვს, რომ რადგან ზოგიერთ ჯარის ნაწილებსა და საახედრო პირებს დაურიგეს ვენზელები, ეპოლეტებზე დასაკრავი მიცვალებულის იმპერატორის ალექსანრე მეორის სახსოვრად, და რადგან ეს ვენზელები არ მიუცია კანონის იუნკრებისათვის და მდაბალ ჩინებისათვის, ამისთვის ამ პირთაც მიეცეს ეს ვენზილები. ჩვენი უმდაბლესი და უქვეშევრდომესი თხოვნა ეს არისო.

„პოლშელების დეპუტაციას უთხოვნია: ერობის (земство) შემოღება პოლშაში, ნაფიც მსაჯულების სასამართლოს დაწესება, სრული თავისუფლება საშშობლო ენისა პოლშურ სასწავლებლებში და პოლშის ლიტერატურის კათედრის დაარსება ვარშავის უნივერსიტეტში.

* * *

ჩვენ შევიტყეთ, რომ, რადგან თბილისის სასულიერო სასწავლებელში წითელა გაჩენილა და რამდენიმე უმაწვილი გამხდარა ავათ, ამის გამო ყველა შაგირდები დროებით დაუთხოვნიათ.

* * *

ამ დღეებში გამოვიდა მეორე (თებერვლის) წიგნი ჟურნალის „იმედისა“. მოგვყავს შინაარსი ამ წიგნისა:

მარტიანთ ბაბა (მოთხრ.) — შაქროსი, — *** (ლექსი) — ბ. ჭრელაშვილისა, — სასაღსო ლექსი, — შიკრიკი — მიხ. ასათიანისა, — ჩვენი ცხოვრების დვიძლი შვილი — სტ. ჭრ-შვილისა, — ერთი ჩვენი მწერლობის სესი — მიხეილ ბურგენიძისა, — ჩვენებური სასწავლებლების ახლანდელი მდგომარეობა — დ. ა. აბდუშელიშვილისა — შინაური მიმოხილვა — მიხ. ბურგენიძისა და პოლიტიკა — ტატანასი.

* * *

ჩვენ ვნახეთ ფრანცუზულს ენაზედ პარიჟში ახლად-გამოსული წიგნი — თხზულება გამოჩენილის ფრანცუზის გეოგრაფისა ელიზე რეკლიუსა — რუსეთის ასია. ეს არის მთელი ერთი დიდი ტომი, რომელიც შეიცავს მხოლოთ კავკასიის გეოგრაფიულ და ეტნოგრაფიულ აღწერას. წიგნი სურათებით არის შემკობილი; არის სურათები კავკასიის სხვა-და-სხვა ტომის ხალხებისა, სხვათა შორის იმერლებისა, მეგრელებისა, სომხებისა, ურიებისა და სხვ., აგრეთვე სხვა-და-სხვა მონასტრები, ქაღაქების მთები და სხვ.

რაიცა შეეხება თვითონ შინაარსს წიგნისას. ამის შესახებ ჩვენს გაზეთში რამდენიმე ცალკე სტატიები იქნება დაბეჭდილი. ახლა კი ვიტყვით მხოლოთ, რომ ავტორს, როგორც ეტყობა, თავის წიგნის დასაწერად, ბევრი რუსული და უცხო ენებზე დაწერილი და აგრეთვე ხელთ-ნაწერი მასალები ჰქონია ხელთ.

* * *

ქუთაისიდამ მივიღეთ დღეს ტელეგრამმა, რომ წუხელ, 27 მარტს ღამით, იქ გარდაცვლილა რომის კათოლიკის ეკლესიის წინამძღვარი საპატიო კანონიკი დონ-ანტონიო ბლაზოვა. მიცვალებულის გვამს 31 მარტს დაასაფლავებენ.

* * *

სიღნაღიდამ გვწერენ:

„აგვიკლეს თათრებმა! ერთი-ღა ლონე დაგვრჩომია: ჩვენის ნებით დავიდვათ კისერზე „სათათრო გადასახადი,“ საქონელით იქნება, თუ ფულით, ეგები დაუზოგავმა თათრებმა ამით მ.ინც შეგვიწყნარონ.

ვინც თავის თავსა და ჭონებას უფრთხილდება, ძაინც ისრე შვრებიან აქ. ემეგობრებიან და ეფერებიან თათრის ყაჩაღებს, ეგების ჩვენ დაგვინდონ და რა გვენაღვლება სხვები გავაქურდვინოთო.

ჩვენი ადმინისტრაცია, ამ საქმეში სახსენებელი არ არის; ჩვენი დაფარვა აქამდისაც მისთვის არ დაგვენდომებინა, იქნება ჩვენივე ღონით რამე სახსარს ვიპოვნიდით თათრების გაცარცვისაგან.

„წარსულს კვირას თათრის ყაჩაღებმა მოჰკლეს აქაური ჩაფრების უფროსი ივანე ვაჩნაძე. ჩვენი მაზრის მცხოვრებთ ძალიან ეწყინათ მისი სიკვდილი, რადგანაც აქაურს მოხელეებში ყველაზედ პატიოსანს კაცად მიიჩნდათ. მხოლოდ ეს არ ეფერებოდა თათრებს და თავის მოვალეობას უშიშრად აღსრულებდა, როდესაც უკანასკნელებს რამე პასუხი უნდა მოსთხოვოდათ ბოროტ-მოქმედებისათვის.

„სიღნაღის მაზრის უფროსმა გაგზავნა განსვენებული ივანე ვაჩნაძე რამდენიმე ჩაფრით და ყაზახებით ჭაჭუნას ობეშჩიკების ურადნიკის სასიკო თარაშვილს ძროხის ბინაზედ, სადაც, როგოც ლაპარაკობდნენ, ხშირად იყვნენ ხოლმე თათრის ყაჩაღები. სიღნაღიდამ შუაღამისას გასული ვაჩნაძე, გათენებისას მისულიყო თარაშვილის ბინაზედ. თარაშვილი გამოჰგებებოდა განსვენებულს ამ სიტყვებით: „ნუ შემოხვალ ბინაში, თორემ თათრები მოგკლავენო.“ ვაჩნაძეს არ დაეშალა და ეთქვა: — „მე მაგათ დასაჭერად მოველი!“ და გაეწივნა პირ-და-პირ ბინისაკენ. ამ დროს გამოვარდა თოფი ბინიდამ და ვაჩნაძე ძირს დაეცა ცხენიდამ. ერთს საათის შემდეგ კიდეც მოკვდა.

„ერთის სიტყვით წელიწადი არ გავა, რომ ჩვენში კაცი არ მოჰკლან. შარშან ხომ თათარმა ჩსუანდარმა ერთი აზნაური ნასიძე მოჰკლა.

ამბობენ, რომ ვაჩნაძეც იმან მოკლაო.“

* * *

ბორიდამ გვწერენ:

„დროების“ 48 ნომერში რამდენიმე სიტყვა იყო ნათქვამი ბორში ღვინის სიეფის გამო და ავტორი უმადლიდა იმერეთს, რადგანაც იქაურებმა დაიწყეს მოტანა და ამნაირათ გაიეფეს ჩვენში ღვინოვო.

„ამ ანბავმა ცოტა არა შეაშინა აქაური გასუქებული სირაჯები და იმათაც რაც საუკეთესო ღვინოები ჰქონდათ, გამოიტანეს ურმებით სასწორზედ თუნგობით დაუწყეს გაყიდვა, ასე რომ ახლა და ახლა ბორის სასწორზედ შხირი ხალხის მოძრაობაა, ქეიფი და ლხინი.

„ეს მოვლენა აქაურს მიკიტნებს ეკალივით გაეჩხირათ თვალებში: გუშინ აქაურს ქალაქის თავთან ჩასულან და უთხოვიათ, სულ ვიღუპებითო, ჩვენ ღვინოებს ველარ ვყიდითო, სასწორზედ აუკვეთეთ ვაჭრობაო. როგორც გვითხრეს, ქალაქის თავს უთქვამს, რომ კანონით ყველას შეუძლიან ვაჭრობაო.

„ახლა თურმე ეს მიკიტნები რაღაცა მზადებაში არიან ქალაქში აქაციზის უპრავლენიაში უნდათ იჩივლონ და როგორმე მოაშლევინონ ამ გვარი ვაჭრობა იმერეთიდამ მოსული ხალხს.

„კანონი ყველას ნებას აძლევს, სასწორზედ, მოედანზედ, ბაზარში ღვინო თუ ხორაგი მოიტანოს და გაჰყიდოს; ამათ სავაჭრო დოკუმენტიც არ მოეთხოვებათ. მხოლოდ კი ყველასათვის საჭიროა ადგილობრივის მამასახლისისაგან მოწმობა ჰქონდეს, რომ ის თავის მოსავლის ღვინოსა ჰყიდის.

„ამ ღვინის სიეფემ სხვა ხორაგიც გააიეფა: ფქვილია ბორში მანეთიდამ ექვს აბაზ უზალთუნამდე, ფუთი ქერი 70 და 80 კაპ., ფუთი სიმინდიც ამაზე ნაკლებ და სხვა ხორაგეულიც ამის-და-გვარად გაიეფდა.“

„დროების“ კორრესპონდენცია.

—

ბორი, 23 მარტს. თითქმის ეს ორი წელიწადია მას აქეთ, რაც ქ. ბორში საქალებო პროგიმნაზიის გახსნის თაობაზე ლაპარაკობდნენ და ბოლოს როგორც იქნა ველირსეთ ამ საქმის დაგვირგვინებას. ამ მომავალ ენკენისთვისათვის უნდა გაიხსნას აქ ოთხ-კლასიანი საქალებო პროგიმნაზია. ოთხ კლასს გარდა უნდა იქნეს კიდევ ორი წლის პედაღოღიური კურსი, სადაც პროგიმნაზიის კურს-შესრულებულ ქალებს შეუძლიანთ მიიღონ პედაღოღიური განათლება და პირველ-დაწყებითი სახალხო მასწავლებლობის ხარისხზე მოწმობის მიღება.

თუმცა პროგიმნაზიაც არის ჩვენ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვის ძლიერ საჭიროა, მაგრამ რაც შეეხება ქალების პედაგოგიურს კურსს, ეს უფრო უსაჭიროეს საგანს შეადგენს ჩვენთვის ამ დროში; ესე იგი იმისთანა დროში, როდესაც სახალხო მასწავლებლობის ასპარეზზე არ გვყვანან საკმარისი სპეციალურათ მომზადებული მასწავლებლები არამც თუ ქალები, არამედ კაცებიც. ქალები თითქმის სულ არ გვყვანან სახალხო მასწავლებლათ, მაშინ როდესაც ისინი თვით ბუნებისაგან არიან პედაგოგიურის ნიჭით დასაჩუქრებულნი და მასწავლებლობის, აღმზრდელობის მოვალეობისათვის მოწოდებული.

ამის შესახებ ერთმა გამოცდილ ამერიკელ პედაგოგმა სთქვა შემდეგი:

„იმათ (ე. ი. ქალებს) ადვილათ შეუძლიათ გაიგონ ბავშვების ყველა ფსიხიური და გონებითი მოთხოვნილება; რაღაც თვალ-უჩინარი ინსტინქტი უშლით მათ თვალ-წინ ბავშვების უმანკო გულის ყველა საიდუმლოებს; იმათ სკოლაში ყოველთვის შესანიშნავი წესიერება (დისციპლინა) მეფობს, რადგანაც მათი ტკბილი და ალერსიანი სიტყვები უფრო ღრმათ ეცემა გულში ბავშვებს, ვიდრე ჩვენი — კაცების საზიზღარი წყრომა და ლოგიკური დაფსკვნანი. მაშასადამე პირველი მათი თითქოთან-შობილი ნიჭი—მასწავლებლობა და გამზრდელობა არის.“

აქედგან ნათლათ სჩანს, რომ ქალს—მასწავლებელს დიდი გავლენა ექნება პირველ-დაწყებით სასწავლებლის ახალ-გაზდობაზე, მით უფრო რომ თავის ცხოვრების პირველ ღღიდანვე ბავშვი თითქმის რვა-ცხრა წლამდე სულ დედის ხელში იზრდება და ვითარდება და მხოლოთ მამა-კაცების გავლენის ქვეშ სკოლაში შესვლის დროდგან ხდებიან. მაშასადამე ბავშვების ბუნება ქალებს უფრო ნათლათ ექნებათ შესწავლული, ვიდრე კაცებს.

ამისთანა საქალებო პედაგოგიური კურსები არც რუსეთშია ძლიერ ბევრი და ჩვენში, რასაკვირველია, პირველი ეს იქნება, რომელიც მოგვცემს სპეციალურათ მომზადებულ ქალებ-მასწავლებლებს. ესენი ჩემის აზრით, დიდის სურვილით ამოირჩევენ ამ თანამდებობას და კეთილ სინიდისიანად, ენერგიით მოჰკიდებენ ხელს ამ წყნარს, მაგრამ მძიმე მოვალეობას, მით უფრო რომ ჯერჯერობით (შემდეგში კი რა მოგახსენოთ) ქალებს არ ეძლევათ სხვა სამსახურში შესვლის ნება გარდა მასწავლებლობის თანამდებობისა. შემდეგ, როცა მომზადებული ქალები—მასწავლებლები გვეყოლება, რასაკვირველია, სახალხო საქალებო სკოლებიც დაგვებადება და ამით ჩვენს ქალებს მიეცემათ სწავლა-განათლების ღონის ძიება.

ამ კეთილ საქმეში დიდი მადგლობის ღირსია ბ-ნი სემიონოვი, აქაური სამასწავლებლო სემინარიის დირექტორი, რომლის თაოსნობითაც დაიწყო და დაგვირვინდა ეს საქმე. ამ საქალებო პროგიმნაზიის სასარგებლოთ, მისივე თაოსნობით, ზამთარში გამართეს რუსული სპეკტაკლი და შარშან დიდ-მარხვაში წაიკითხა იმავ აქაურ კრუჟოკში რამოდენიმე საზოგადო პედაგოგიური ლექცია და აქედგან შემოსული ფულები შესწირა იმავე მომავალ საქალებო პროგიმნაზიის სასარგებლოდ.

დასასრულ სულით და გულით ვისურვებთ ამ საქალებო პროგიმნაზიის და მასთან პედაგოგიურის კურსის ჩვენს ნიადაგზე მაგრათ ფესვების გადგმას და მომავალში კეთილ-ნაყოფის მოცემას.

თ. კვალითელი.

წესდებულება ქართულის დრამატიულის საზოგადოებისა.

(დასასრული *)

VI. გამგეობა საზოგადოების საქმეებისა.

§ 12.

საზოგადოების საქმეებს განაგებენ:

ა) საზოგადო კრება იმის წევრებისა;

ბ) საზოგადოების მმართველობა, და

გ) სპეციალური კომისია

§ 13.

საზოგადოების საზოგადო ყრილობანი შესდგებიან იმისავე წევრებისაგან წოდების გაურჩეველად. ყრილობა ზოგი არის ჩვეული, ზოგი უჩვეულო.

ჩვეული საზოგადო ყრილობა მოწოდებული იქნება საზოგადოების თავსმჯდომარისაგან წელიწადში ერთხელ, თეატრალური სეზონის დამდეგსავე ყოველ წელიწადს სექტემბერში.

უჩვეულო ყრილობას საზოგადოების თავსმჯდომარე მოახდენს ყოველთვის საქმეების განსახილველად და გადასაწყვეტლად, რომელთ გადადება არ შეიძლება.

§ 14.

საზოგადო ყრილობა, როგორც ჩვეული ისე უჩვეულო, შედგენილად მაშინ ჩაითვლება, როდესაც ამ ყრილობაზედ დაესწრება მეოთხედი რიცხვი საზოგადოების ყველა წევრებისა, ან ოც-და-ხუთი წევრი მაინც. თუ არა და ყრილობა ჩაირიცხება შეუდგენელად და გასახილველად იმავე საგნებისა მოხდება ახალი ყრილობა არა უადრეს შვიდის ღღისა; მაშინ ეს ყრილობა ჩაირიცხება კანონიერ შედგენილად, რამდენი წევრიც უნდა იყოს ყრილობაში მოსული.

§ 16.

საზოგადო ყრილობის დროს თავსმჯდომარედ იქნება ერთი საზოგადოების წევრთაგანი, რომელიც უნდა ყოველთვის ამოირჩეოდეს, როდესაც კი ყრილობა გაიხსნება, სინამ საქმეების განხილვას შეუდგებოდნენ. ამ ამორჩევამდის ყრილობაში თავსმჯდომარეად არის თავმჯდომარე მმართველობისა.

საერთო ყრილობაში საქმეები გადაწყდება დამსწრე წევრების ხმების მარტივის უმლავლესობით; თუ ცვლილება მოითხოვება, ან დამატება ამ წესდებულებისა, ან ლიკვიდაცია საზოგიდოებისა, მაშინ საჭიროა ორი მესამედი მაინც ყველა დამსწრე წევრების ხმებისა. ხმა მოიკრიბება ცხადად, ან ფარულად, როგორც თვითონ ყრილობა არჩევს. მაგრამ ფარულთა წრეებისა რეპერტუარით, აკსესსუარებით და სხვა საშუალებით გასამართავად წარმოდგენებისა.

3) წარდგენა საზოგადო ყრილობისადმი წინადადებათა, მოხსენებათა და მოსაზრებათა, საზოგადოებისათვის სასარგებლოთა და იმის მოქმედების გასაერცელებლად.

ზ) აღმორჩევა თავის წევრებისაგან თავსმჯდომარისა, იმის ამხანაგისა, სეკრეტრისა და ხაზინადრისა;

Თ) აღრჩევა პირთა დამხმარებელ წევრებთა და

Ი) საზოგადოდ ყოველი აღსრულებითი და მმართველობითი გამგებლობა საზოგადოების საქმეებისა.

§ 21.

მმართველობა ყოველ წლივ წარუდგენს საზოგადო კრებას დაწვრილებით ანგარიშს, თუ როგორ იყო საზოგადოება წარსულს წელს შედგენილი, და რაში მდგომარეობდა იმის მოქმედება და რა მდგომარეობაშია იმის საქმეები. რა რომ საზოგადო ყრილობა ამ ანგარიშს განიხილავს და მოიწონებს, მაშინ დაიბეჭდება ეს ანგარიში ან ადგილობრივს, ან თვითონ საზოგადოების უწყებებში და წარედგინება ორი ეგზემპლიარი თფილისის გუბერნატორს.

ერთი კვირის განმავლობაში, საზოგადოების შეყრამდის, ანგარიში მმართველობისა უნდა წარედგინოს ყველა წევრს, რომელსაც კი უნდა გაცნობა.

§ 22.

მმართველობის მეინახობა (სხდომა) კანონიერი იქნება, თუ, თავსმჯდომარის გარდა, ორი წევრი მაინც მიიღებს მონაწილეობას. თუ არც თავსმჯდომარე იქნება, არც იმის ამხანაგი, იმათ ადგილს დაიჭერს ერთ-ერთი წევრთაგან, მათგანვე აღმორჩეული. მმართველობის სხდომა მოხდება თვეში ერთხელ მაინც. შეიძლება ამ სხდომაში მიწვეულ იქნენ რჩევისათვის წევრნი საზოგადოებისა და გარეშე პირნიც. თუ ხმები შუაზედ გაიყო, ის ნახევარი სძლევს, რომელშიაც თავსმჯდომარის ხმა არის.

§ 23.

საზოგადოების თავსმჯდომარე:

ა) ახდენს საზოგადო ყრილობას და მმართველობის სხდომას.

ბ) ხელმძღვანელობს მმართველობას და საზოგადო ყრილობას, სინამ ეს ყრილობა ამოირჩევდეს თავსმჯდომარეს.

გ) ზედამხედველობს, რომ ეს წესდებულება მტკიცედ და განუდრეკელად აღსრულდებოდეს და

დ) საზოგადოების სახელით შედის მიწერ-მოწერაში უწყებებთან, სამმართველო ადგილებთან და პირებთან.

§ 24.

შესამოწმებლად საზოგადოების ქონებისა, საქმეებისა და ანგარიშებისა რული მოკრება ხმებისა ვალი არის ყოველს იმ შემთხვევაში, რომელიც მოხსენებულია მე-18 §, აგრეთვე მაშინაც, როდესაც ათი წევრი ყრილობისა თხოულობს ამას.

§ 16.

საზოგადო ყრილობის საქმე არის:

ა) გაშინჯვა და დამტკიცება საზოგადოების ანგარიშისა;

ბ) გაშინჯვა და გადაწყვეტა განზრახულებათა, მმართველობის მოხსენებათა და წევრების წინადადებათა, რომელთაც შეიძლება დაეხმარონ საზოგადოებას თავის მიზნის მისაღწევად.

დ) შედგენა და დამტკიცება დარიგებებისა და ინსტრუქციებისა საზოგადოების წარმოებაზედ, აგრეთვე პროგრამმებისა და პირობებისა ჯილდოების მოსაპოებლად.

დ) აღმორჩევა საზოგადო ყრილობის თავს-მჯდომარისა, მმართველობის წევრებისა და კომისიისა, და აგრეთვე საზოგადოების ნამდვილის წევრებისა.

შენიშვნა. წევრების წინადადება მოხსენდება საზოგადო ყრილობას მმართველობის თავს-მჯდომარისაგან და უნდა წარედგინოს მმართველობას შვიდი ღღით მაინც ადრე, სინამ საერთო ყრილობა მოხდებოდეს.

§ 17.

საზოგადოების საქმეების უმახლობელესი გამგეობისათვის და აღმასრულებელ მოქმედებისათვის საერთო კრება ირჩევს თავის შორის საზოგადოების მმართველობას, რომელიც უნდა შესდგებოდეს შვიდი წევრისაგან და სამი კანდიდატისაგან.

§ 18.

საზოგადოების მმართველობა აღირჩევა სამი წლის ვადით დაფარულის კენჭის-ყრით.

§ 19.

მმართველობა თავის წევრთაგან ირჩევს თავს-მჯდომარეს და იმის ამხანაგს, რომ როდესაც თავს-მჯდომა-

---

*) „დროება“, №-66

რე არ იქნება, ავათმყოფობისა ან სხვა რისიმე გამო, ის იყოს იმის მაგივრად.

§ 20.

მმართველობის საქმე არის:

ა) აღსრულება საზოგადო ყრილობისაგან ყველა კანონიერის დადგინებისა;

ბ) წარმოება ინვენტარისა, შემოსავალ-გასავლის წიგნებისა და ანგარიშისა შესახებ ქონებისა, საქმეებისა და ფულისა, აგრეთვე საზოგადოების წევრების ფულისა;

გ) მოლაპარაკება პირობის შეკვრა და ანგარიში ტრუპპებთან, ანტრეპრენიორებთან და მოყვარულებთან;

დ) წარმოება საქმეებისა და ხმარება ქონებისა პასუხის-გებით საზოგადო ყრილობის წინაშე.

ე) დახმარება ტრუპპისა და მოყვასაზოგადო ყრილობა ყოველ წლივ ირჩევს კომისიას.

§ 25.

ბასაშინჯავად და დასაფასებლად დრამატიულის თხზულებებისა, რომელნიც უნდა წარმოდგენილ იქმნან სცენაზედ, ან რომელნიც წარმოდგენილ არიან ჯილდოს მისაღებად, საზოგადოების ჟურნალის ან გაზეთის გამოსაცემლად და ზოგიერთა საგნების გასარჩევლად და მინდობილობის აღსასრულებლად საზოგადო კრება ირჩევს, გარეშე პირებიდამაც, საკუთარ კომისიას, რომლის მოქმედების ასპარეზი წინათვე გამორკვეულ უნდა იყოს საზოგადო კრებისაგან.

§ 26.

საზოგადოებას აქვს თაღის ბეჭედი.

§ 27.

თუ რომ საზოგადოების საშუალება და მოქმედება მოიმატებს, მაშინ მმართველობის წევრნი და კომისიები შეიძლება დაჯილდოვდნენ საზოგადო კრების დახედვით.

§ 28.

ყველა სხვა შემთხვევაში, რაც ამ წესდებულებისაგან წინათ დანახული არ არის, საზოგადოება ხელმძღვანელობს საერთო სახელმწიფო რჯულდებულებით.

§ 29.

საზოგადოების დახურვა მოხდება მხოლოდ საზოგადო კრების გადაწყვეტილების თანხმად ამ წესდებულების მე-15 §-სა.

ამ შემთხვევაში უნდა მოხდეს ლიკვიდაცია, ანუ გასწორება და გაწმენდა ყოველი ანგარიშისა საზოგადო კრების გადაწყვეტილებით და უნდა მოხდეს იმ წესით, რომელსაც დაადგენს ესევე საზოგადო კრება. საზოგადო კრებამვე უნდა გადასწყვეტოს, თუ ქონება და ფული საზოგადოებისა რის სასარგებლოდ დარჩეს.

განცხადებანი

ტფილისს ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში და ძუთაისს გერარდის წიგნის მაღაზიაში ისყიდება

სამწერლო

თაიგული

შედგენილი და გამოცემული ილია ჭავჭავაძისაგან. შინაარსი: I ბაბუას თხოვნა (ლექსი) მ. ფაზელისა, II უბედური შემთხვევა (ამბავი) ჯ—სა, III ჩემს სურათებზე (ორი ლექსი) მ. ფაზელისა, IV მ...სადმი (ლექსი) გ—სა, V ფერი ფერს — მადლი დმერთს სამ-მოქმედებიანი კომედია ცვლილ. თარგმ. ალექსი ბიჭინაძისაგან, VI ჩივილი ხვედრისადმი (ლექსი) რაფიელ ერისთვისა, VII ხასიათის გაგლენა სამეულ სმაილსისა, VIII უკითხავი პასუხი (ლექსი) ნ. დ—სა, IX ახალი მოგლინება ჩვენს ლიტერატურაში და X მტარვალებს (ლექსი) აკაკისა.

ფასი თითო წიგნისა ათი შაური.

ძმ. სალი-ოღლის თამბაქოს ფაბრიკისაგან.

რადგან ზოგიერთი თფილისი მეთამბაქოები, რომელთაც თავის საკუთარი კარგი თამბაქო არა აქვთ, **ჩვენი ეტიკეტების მსგავს ეტიკეტებს აკვრენ** თავიანთ პაპიროზებსა და თამბაქოს და ამ თ **ატყუებენ** გამოუცდელ და წერაკითხვის უცოდნელ ხალს, ამის გამო ჩვენი ფაბრიკა საჭიროდ რაცხს გამოაცხადოს, რომ ამ მოტყუების თავიდამ ასაცდენად, ყველა მყიდველმა თამბაქოისა და პაპიროზებისა გასინჯოს ჩვენი ფირმის ზედ-წარწერა: **ოსმალოს ძვეშევრდომი ძმები სალი-ოღლი.**

ფაბრიკა სალი-ოღლისა.

(5—2)

მიუხედავათ იმისა, რომ ბაჟი მოიმატა, საქონელი გაიყიდება ისევ იმ ფასად, როგორც წინეთ იყო: კონგო-ჩაი 1 მ. 5 კ. და 1 მ. 10 კ.; საუკეთესო მინინგი 1 მ. 20 კ. და 1 მ. 40 კ.; მშვენიერი კაისუ 1 მ. 60 კ. და 1 მ. 80 კ. ძრიელ კარგი ჩაი 2 მ. გირვანქა უქადალდოთ.

ინგლისური რეკოლვერები 4 მ.—40 მანეთამდინ და თოფები 20—200 მანეთამდინ. **ინგლისის მაღაზიაში.** საუკეთესო ბარნსის უნაგრების გასასყიდლათ, ჯონსის კლიტეებისა, შოკოლადისა და ეკსტრაქტისა კაკაო ფრაის, რომელთაც დაიმსახურეს ბარიეის მსოფლიო გამოფენაზედ ოქროს მენდალი. გირვანქა არომატიული ჩაისა ლამაზი ჩაინიკით 1 მ. 65 კ. და სულ საუკეთესო 2 მ. 30 კ. ვაჭრები მოიგებენ, თუ იყიდიან ბლომათ **ინგლისის მაღაზიაში.** მთელი კოსტიუმი 15 მ. ხვედების კონ. ფეტები 60 კ. ერთი გირვანქა.

100—43

ინგლისის მაღაზიაში

თმისაღებ-სანვანი

მაკ-ეას-ფერი

ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ.

აქვე ისყიდება ქინის ბომბა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სჩოტკები თავის ტკივილის მოსასშობლად, ტუალეტის საბონი, ლუხები და სხვ.

(150—5.)

ლონდონის ბაღაზია

ერევნის მოედანზე № 14, ქალაქის-ცრულ ბანკის ქვეშ, დაარსებულია წმინდა ქიახტის და ჩინეთის პირველი მოწეის ჩაის გასაყიდველად დ ასაუკეთესო ინგლისის საქონლებისა, მაგალითად: თოფების, რეოლვერებისა, ბოქლომთა, ტაბაკების (ფოლნოსი) კრავატების, დანა-ჩანგლების, საჩაიე, ჭიქების, შოკოლადის, კაკაოს, გემრიელი სუკრის ერბო, სასურნელელის, საპონის, ცხვირ-სახოცების, შჩოთკი წინდების, ჩულქების, კარანდაშების, რკინის კალმების და სხვ...

(100—47)

LANGUE ET LITTÉRATURE FRANÇAISE.

Un professeur de l'université de Paris désire donner des leçons. S'adresser Librairie Baerenstamm.

(3—2)

ბიბლიოგრაფიული განცხადება.

დედა-ენა ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახალხო სკოლებში სახმარებელი, მესამე გადასწორებული გამოცემა. ამ გამოცემაში ჩამატებულია ოცზედ მეტი ახალი სალხური მოთხრობა და ლექსი; ახალი ანდაზები და გამოცანები, შესწორებული შინაარსი და ენა სტატიებისა და რვადენიმე ახალი სურათი არის ჩართული. ისყიდება გამომცემლის ბრიქუროვის მაღაზიაში ბუკის ბიდის ყურში. ფასი ექვსი შაური. მაგრამ წიგნი ხუთშაურად დაუთმობათ სასალხო სკოლებს და სხვა სასწავლებლებს, როცა იყიდიან ნადდს ფულზედ ოც-და-ათს ეგზემპლიარსა და კერძოპირებს, როცა წაიღებენ ასს ეგზემპლიარსა.

ბუნების კარი ანუ საკითხავი წიგნი უმცროს კლასებში სახმარებელი, მესამე გამოცემა შეგსებული ახალი სტატიებით და შემკული სურათებითა და საქართველოს კარტითა; ფასი თხუთმეტი შაური. ისყიდება ბარიანოვთან და სხვა წიგნების მაღაზიებშიაც. ეგზემპლიარი დაუთმობა თოთხმეტ შაურათა, ვინც თხუთეტს ეგზემპლიარს ერთათ ნადდს ფულზედ იყიდის, ცამეტ შაურათ, ვინც ერთად წაიღებს ოც-და-ათს ეგზემპლიარსა და სამ ანაზათ ასი ეგზემპლიარის ერთათ მყიდველსა.

ვისაც სურს ან პირველი ან მეორე წიგნი ედაში ჩასმული მიიღოს, წიგნის ფასს უნდა სამი შაური დაუმატოს.

როგორც **დედა-ენა**, ისე **ბუნების კარი** მოწონებილნი არიან (**рекмендованы**) და სახელმძღვანელოდ დადებულნი პეტერბურღის მსწავლულთა კომიტეტისაგან, განათლების მინისტრის დამტკიცებით.

(10—3)

თფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო

ბანკისაგან

ზედამხედველი კომიტეტი თფილისის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკისა, წესდების მე-83 მუხლის ძალით, მოიწვევს ამ ბანკის წევრთ-დამაარსებელთ ჩვეულებრივ საზოგადო კრებაზედ, რომელიც იქნება ამ 1881 წელს 26 აპრილს, დილის 10 საათზე, ბანკის სადგომში.

განსახილველი საგნები:

1) განხილვა და დამტკიცება ბანკის გაგლილ 1880 წლის ანგარიშისა (შემოსავალ-გასავლისა).

2) განსაზღვრა—თუ რაზედ უნდა დაიხარჯოს ბანკის შემოსავლიდამ „საზოგადო საჭიროებათათვის“ გადადებული ფული.

3) განხილვა ბანკის გამგეობის გასავლისა ამ 1881 წლისათვის.

4) ამორჩევა ბანკის გამგეობიდამ რიგით გამოსულის წევრის თ. ჩოლაყაშვილის სამაგიერო წევრისა და გამგეობის წევრების სამის კანდიდატისა.

(7—2)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 28 Марта 1881 г. Типографія С. Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები: ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი.